*დანართი №1*

**შპს ,,სქილვილის“ მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, ,,IT ინფრასტრუქტურის მართვა“, „Front-end პროგრამირება“ , ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: ვალერი ჯაჯანიძე |
| **წევრები:** |
| ეკა ბუთხუზი |
| თორნიკე თუთარაშვილი |
| ალექსანდრე კეკენაძე |
| ზურაბ მესხიძე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების  სახელწოდება: შპს ,,სქილვილი"
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი: 406258730

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ გეგმიური

☐ არაგეგმიური

☐ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

**II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 15 ივლისის №932689 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე, ევა ბუთხუზი - წევრი, თორნიკე თუთარაშვილი - წევრი, ზურაბ მესხიძე - წევრი, ალექსანდრე კეკენაძე - წევრი, დაევალა ქ. თბილისი, ბოჭორმას ქ. №16, ც.დადიანის ქ. N30, შპს სქილვილის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,IT ინფრასტრუქტურის მართვა“, ,,Front-end პროგრამირება“, ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, ბ.ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს სქილვილის მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 21,22 ივლისს განახორციელა ვიზიტი, ქ. თბილისში მისამართებზე, ბოჭორმას ქ. №16, ც.დადიანის ქ. N30, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. გასაუბრებებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ სახელი შეცვალა, სახელწოდებით - ,,IT ინფრასტრუქტურის მართვა“. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის აღნიშნული სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ**

*ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| *კომპიუტერული ქსელი და სისტემები* | *240* | *109 (საგაზ. მიღებაზე ჩაირიცხა 123 სტუდენტი)* | *2* | *9* |
| IT ინფრასტრუქტურის მართვა | *400* | *(საგაზ. მიღებაზე ჩაირიცხა 240 სტუდენტი)* | - | - |
| *Front-end პროგრამირება* | *400* | *174* (საგაზ. მიღებაზე ჩაირიცხა 219) | *15* | *16* |
| *პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი* | *240* | - | - | - |

**IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

**II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა.

**IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

*II სტანდარტი*

*ინდიკატორი 2.2.1.1*

*დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 27.05.2026-27.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენა.*

*ინდიკატორი 2.2.1.3*

*დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.3 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 20.07.2026-20.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" სრულყოფილი განხორციელებისთვის პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

### VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*2026 წლის 11 აგვისტოს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანახმადაც პსდ იზიარებს ექსპერტების პოზიციას და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს. არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილის შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა შესაბამისი ინდიკატორებში არსებული ფორმულირებების ცვლილება და ტექნიკური ხასიათის ხარვეზების აღმოფხვრა.*

## ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ.თბილისი; ბოჭორმას ქუჩა N16 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 160 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 240 |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 400 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 87 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

IV. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☐ შეესაბამება**<br>**■ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება**<br>**■ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:** კოლეჯმა 2025 წლის სექტემბერში დაიმატა კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროგრამა. შპს „სქილვილი" შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან გამომდინარე გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოებას. აღნიშნულ პროგრამაზე საშემოდგომო მიღებაზე დაფიქსირდა საკმაოდ მაღალი მოთხოვნა. კერძოდ, არსებული ქვოტის (120) ფარგლებში vet.emis.ge-ს პორტალზე დარეგისტრირებული იყო 385 აპლიკანტი, საგაზაფხულო მიღებაზე კოლეჯის მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა არის 122, დარეგისტრირებული იყო 300 აპლიკანტი. აღნიშნული სტატისტიკა ნათელი მაგალითია იმისა, რომ მოცემულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მაღალი მოთხოვნაა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულების N2 სტრატეგიული მიზანია ,,შპს "სქილვილის" მიერ განხორციელებული პროგრამების მომხმარებელზე და შრომის ბაზარზე ორიენტირება". აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელები და სისტემები" ადგილების რაოდენობის გაზრდა წარმოადგენს კოლეჯის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების შესრულების ერთ-ერთ ამოცანას, რაც მიმართულია პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და წამყვან პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე.

დაწესებულებამ კვოტის გაზრდის დასასაბუთებლად გაანალიზა:

- საქართველოს ეროვნული განვითარების დოკუმენტი ,,ხედვა 2030";
- შრომის ბაზრის კვლევა ( და ეკონომიკური ტენდენციები;
- დასაქმების პლატფორმების ანალიზი (Jobs.ge, LinkedIn);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გლობალური ტენდენციები (Eurostat)

აღნიშნული დოკუმენტების ანალიზის მიხედვით მნიშვნელოვანია ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება, ადამიანური კაპიტალის გაძლიერება ტექნოლოგიურ დარგებში და სექტორული პროფესიული განათლების სისტემის ხელშეწყობა. საქართველოს ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს ინფრასტრუქტურულად გამართული და სანდო კომპიუტერული ქსელების არსებობას.

ქალაქ თბილისში, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ცენტრში, მოთხოვნა ამ სპეციალისტებზე განსაკუთრებით მაღალია. აღნიშნული

პროფესია შედის ფართო ICT სექტორში, რომელიც საქართველოში სწრაფი ზრდით გამოირჩევა. გლობალური ტენდენციების ანალიზის მხედვით, ციფრული ეკონომიკა საჭიროებს არა მხოლოდ დეველოპერებს, არამედ ინფრასტრუქტურის სანდო ოპერატორებს – სისტემურ და ქსელურ სპეციალისტებს.

საქართველოში არსებული დასაქმების პლატფორმების (Jobs.ge, LinkedIn) ანალიზი აჩვენებს, რომ პროფესიაზე მოთხოვნა სტაბილურად მაღალია, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. განსაკუთრებით აქტიურია: ბანკები და ფინანსური სექტორი, ტელეკომუნიკაციები, სახელმწიფო ციფრული სერვისები, ჰოსტინგ და მონაცემთა ცენტრები, SaaS და საერთაშორისო IT კომპანიები, კიბერუსაფრთხოების მიმართულება.

დამსაქმებლები ხშირად ეძებენ: პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტებს; Cisco/Linux/Windows ადმინისტრირების ცოდნის მქონე კადრებს; ქსელური უსაფრთხოების საფუძვლების მცოდნე პერსონალს. ეს მიუთითებს, რომ ბაზარზე კვალიფიციური კადრების დეფიციტიც არსებობს.

პროგრამას თან ერთვის დეტალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი რესურსების წარმოდგენას, ხოლო პროგრამის განაცხადით წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი მატერიალური რესურსის შესახებ (გარდა მასალებისა და ნედლეულისა).
პროგრამა განხორიელდება მისამართზე ქ. თბილისში, ბოჭორმას ქუჩა N16. პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმატით. კვოტის გაზრდის მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულებამ პროგრამის განსახორციელებლად დაიმატა 2 აუდიტორია 80 სტუდენტზე გათვლილი (ორცვლიანი სწავლებისთვის ჯამში 160 სტუდენტი). დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად სულ გამოყოფილი აქვს 40 სტუდენტზე გათვლილი 5 აუდიტორია (ორცვლიანი სწავლებისათვის).

*ექსპერტთა შეფასების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მეტწილად უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსით. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია იდენტიფიცირებული შესაბამისობის აღწერა, შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივობები, აქტივობის დაწყებისა და დასრულების დრო, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და სხვა ჩართული მხარეები. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულებამ უნდა შეიძინოს 80 პროფესიული სტუდენტისათვის სამუშაო ადგილისათვის მაგიდა და სკამი, ამავე რაოდენობის კომპიუტერი სტუდენტთათვის, მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი - ორი ერთეული), მასწავლებლის კომპიუტერი (ორი ერთეული),, ჭკვიანი დაფა (ორი ერთეული), ქსელის მზა სადენები და სხვ. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 27.05.2026-27.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენა.*
***2.2.1.1 ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.***

**2.2.1.2 პროგრამისთვის განსხღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა შემუშავებული, რომ მასში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას. პროგრამას თან ერთვის დანართი, სადაც მოცემულია განმახორციელებელი პერსონალის დეტალური სია, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯს უზრუნველყოფილი აქვს განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების" განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პირი. სასწავლო გეგმის და გაფორმებული წინარე ხელშეკრულებების ანალიზის შედეგად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 41 პროფესიული განათლების მასწვლებელი, აქედან 25 მასწავლებელი განახორციელებს პროფესიულ მოდულებს, 13 მასწავლებელი - ზოგად მოდულებს, 3 - ქართული ენის მოდულს. კვოტის გაზრდის მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულებამ წინასწარი ხელშეკრულება გააფორმა 7 პროფესიულ მასწავლებელთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. 400 პროფესიული სტუდენტისათვის, საკმარისია მასწავლებელთა რაოდენობა. კოლეჯი დამატებული 160 ადგილის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას განახორციელებს ოთხ ჯგუფად ცვლებში.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. გასაუბრებითა და პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა აღნიშნული პირების ცოდნა, უნარები და პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი კომპეტენციები, წინარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების ცოდნა და შესრულება. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** შპს „სქილვილის" (შემდგომში - სქილვილი/კოლეჯი) "სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და საკვალიფიკაციო მოთხოვნების” მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს სქილვილში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაოს აღწერას მათი თანამდებობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები აკმაყოფილებენ დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალფიკაციო მოთხოვნებს. ისინი ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. მასწავლებელთა ნაწილს აქვს მასწავლებლად და/ან დარგის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ მათი ნაწილი ჩართული იყო მოდულების შექმნასა და ადაპტირებაში. მასწავლებელთა უმრავლესობას გავლილი აქვს როგორც დაწესებულების, ისე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტრენინგები და მასტერკლასები სწავლებისა და პროფესიული განვითარების კუთხით. იცნობენ შეფასების საკითხებს და მზად არიან შეასრულონ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია.

*აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვისა და მათი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრის მიზნით რეგულარულად ატარებს პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვას. აღნიშნული საკითხი კოლეჯის აკადემიური დირექტორისა და მისი გუნდის ფუნქცია-მოვალებით არის განსაზღვრული. აღნიშნულ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი გეგმავს პროფესიაში ახლად შემოსული მასწავლებლებისთვის დაგეგმოს და ჩაატაროს სწავლებისა და შეფასების (მათ შორის დისტანციური სწავლება და შეფასება, lms პლატფორმის გამოყენება სასწავლო პროცესში და სხვ.) მიმართულებით ტრენინგები. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.3 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 20.07.2026-20.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სრულყოფილი განხორციელებისთვის პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.*

***2.2.1.3 ინდიკატორი მეტწილშესაბამისობაშია.***

**2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** შპს „სქილვილის“ (შემდგომში - სქილვილი/კოლეჯი) “სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების” მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს სქილვილში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაოს აღწერას მათი თანამდებობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ იგი დარგის მოქმედი კვალიფიციური სპეციალისტია, რომელიც ამავდროულად ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. მონაწილეობა აქვთ მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევაში, მატერიალური რესურსების განსაზღვრასა და მობილიზებაში.
პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობებია: უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო შინაარსის განვითარებასა და თემატიკის განახლება, პროგრამის სწავლის შედეგებისა და პრაქტიკული კომპონენტების მართვა/ განხორციელება, სწავლების ხარისხისა და აკადემიური სტანდარტების კონტროლში მონაწილეობა, სასწავლო მასალებისა და შეფასების სისტემების/მიდგომების ზედამხედველობა, აკადემიური პერსონალის მხარდაჭერისა და სწავლების პროცესების მინიტორინგში მონაწილეობა, სტუდენტების პროგრესისა და სასწავლო შედეგების ანალიზის მონიტორინგი და სხვ. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ:** შპს „სქილვილის“ (შემდგომში - სქილვილი/კოლეჯი) “სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების” მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს სქილვილში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაოს აღწერას მათი თანამდებობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება კოლეჯში საბიბლიოთეკო სერვისების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტის მიხედვით საბიბლიოთეკო სერვისების სპეციალისტი ხელმძღვანელობს საბიბლიოთეკო სერვისებს, უზრუნველუყოფს სქილვილის პროფესიული სტუდენტებისა/მსმენელების და პერსონალისთვის საგანმანათლებლო რესურსის მოძიებასა და საბიბლიოთეკო ბაზის პერიოდულ განახლებას, უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო კატალოგის (ელექტრონული) წარმოებას, ორგანიზებას უწევს რესურცენტრის მუშაობას, საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისა და კოლეჯის მისიის, ხედვისა და მიზნების მიღწევის პროცესში კოლეჯის სხვა პერსონალთან აქტიურად თანამშრომლობს.
დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შპს “სქილვილის“ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი, რომელიც ადგენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის და კოლეჯის პერსონალისთვის რესურსცენტრის გამოყენებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებსა და პირობებს. კოლეჯში პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის საგანმანათლებლო რესურსით მომსახურება ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისების საშუალებით, მოიცავს რესურსცენტრს, LMS სისტემასა და ელექტრონულ ბიბლიოთეკას. რესურსცენტრი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და კოლეჯის პერსონალისთვის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-19:00 საათამდე. ელექტრონული ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სქილვილის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად, ელექტრონული პლატფორმის გამოყენების საშუალებით. რესურსცენტრი უზრუნველყოფილია კომპიუტერით, პრინტერითა და სკანერით.
პროფესიულ სტუდენტს სტატუსის მინიჭების შემდგომ ეხსნება სქილვილის ელექტრონული ფოსტა, რომლის გამოყენებითაც ეძლევა წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე. აღნიშნული წვდომა პროფესიულ სტუდენტს უნარჩუნდება კვალიფიკაციის მინიჭებიდან/სტატუსის შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში. კოლეჯს განსაზღვრული აქვს რესურსცენტრით და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი - წარმოადგენს ციფრულ რესურსების ერთიან ბაზას (საკითხავ და ვიდეო ლექციებს), რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის; მოიცავს სხვადასხვა სასწავლო მასალას, სახელმძღვანელოებს, ლექციების ჩანაწერებს, კვლევით სტატიებსა და სხვა საჭირო დოკუმენტებს; ხელმისაწვდომია სქილივილის ონლაინ პლატფორმაზე, რაც ამარტივებს მასალების მოძიებასა და გამოყენებას. აღნიშნული დებულებები და რეგულაციები უზრუნველყოფს, რომ „სქილვილის“ საგანმანათლებლო რესურსები იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი, ადაპტირებული თანამედროვე ტექნოლოგიებთან და სრულად პასუხობდეს სტუდენტებისა და მასწავლებლების საჭიროებებს. რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა რესურსცენტრის დათვალიერებითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებით.

**2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად,**

დაწესებულებაში მოქმედი „შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 30/04/2026 ბრძანება N7511) დამტკიცებული დოკუმენტის ,,სასწავლო პროცესის მართვა”, მე-18 მუხლში აღწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიდგომები და შესაბამისი მომსახურების გაწევის სხვა მექანიზმები, მათ შორის მოდიფიკაციისა და აკომოდაციის შესაძლებლობები და სასწავლო რესურსის ადაპტირების საკითხები. ამავე რეგულაციის მე-19 მუხლი განმარტავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას, კოლეჯის მიერ ადაპტირებული სასწავლო გარემოთი უზრუნველყოფას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გარემო და კოლეჯის საერთო სარგებლობის სივრცეები სასწავლო გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირების ოპერირებისთვის. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სასწავლო კორპუსში მოწყობილია პანდუსი, ბილიკები სსსმ/შშმ პირებისთვის, სველი წერტილები ყველა სართულზე და არის ლიფტი. კოლეჯს აქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ სურვილის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებმა შეძლონ სასწავლო რესურსებით და სივრცეებით სარგებლობა.

შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს: სპეციალური ავტოსადგომის გამოყოფას და კოლეჯის შენობაში შეღწევის შესაძლებლობას ლიფტის მეშვეობით; კოლეჯის თანამშრომლების ინფორმირებას სსსმ და შშმ პირთა კონსულტაციისა და დახმარებისათვის; მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პირის კომუნიკაცია–კონსულტაციას კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან; მატერიალური რესურსებით (მათ შორის კომპიუტერითა და ინტერნეტით) შეუზღუდავ სარგებლობას სამუშაო დღის საათებში.

**2.2.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:** კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით. ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.
ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას (რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 20 სტუდენტს) აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება:

- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- პროგრამისთვის საჭირო სახელმძრვანელოებისა და აპლიკაციების შეძენის ხარჯი;
- სტუდენტური აქტივობები და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ცნობადობის ამაღლება;
- იჯარა;
- და სხვ.

**2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (დამტკიცებულია 2025 წლის 01 ივლისის N010303 ბრძანებით, ცვლილება 03/07/2026, N012640) ;
- სქილვილის დირექტორის ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული განათლების მასწავლებლების განსაზღვრის შესახებ (დამტკიცებულია: 23/07/2026, N015279);
- პროფესიული მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის წინარე ხელშეკრულებები;
- ელექტრონული სასწავლო რესურსი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის ბრძანება შპს „სქილვილის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების თაობაზე (27/05/2026, №009788)
- შპს ,,სქილვილის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (17/07/2026, N014915);
- ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგის დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის დათვალიერება;
- ადმინისტრაციისთან, სტუდენტებთან, განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა.

**IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

*II სტანდარტი*

*ინდიკატორი 2.2.1.1*

*დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 27.05.2026-27.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „IT ინფრასტრუქტურის მართვა" სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენა.*

*ინდიკატორი 2.2.1.3*

| **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| IT ინფრასტრუქტურის მართვა | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

*დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.3 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 20.07.2026-20.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „IT ინფრასტრუქტურის მართვა" სრულყოფილი განხორციელებისთვის პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.*

**V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

2026 წლის 11 აგვისტოს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანახმადაც პსდ იზიარებს ექსპერტების პოზიციას და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს. არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილის შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა შესაბამისი ინდიკატორებში არსებული ფორმულირებების ცვლილება და ტექნიკური ხასიათის ხარვეზების აღმოფხვრა.

**ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | IT ინფრასტრუქტურის მართვა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ.თბილისი; ბოჭორმას ქუჩა N16 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 200 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 400 |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 600 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 55 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |

**III. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**IV. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

***ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☐ შეესაბამება**<br>**■ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება**<br>**■ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:** კოლეჯმა 2026 წლის აპრილში დაიმატა ,,IT ინფრასტრუქტურის მართვა“ შპს „სქილვილი“ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან გამომდინარე გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოებას. აღნიშნულ პროგრამაზე საგაზაფხულო მიღებაზე დაფიქსირდა საკმაოდ მაღალი მოთხოვნა. კერძოდ, არსებული ქვოტის (400) ფარგლებში vet.emis.ge-ს პორტალზე დარეგისტრირებული იყო 470 აპლიკანტი. აღნიშნული სტატისტიკა ნათელი მაგალითია იმისა, რომ მოცემულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მაღალია მოთხოვნაა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,IT ინფრასტრუქტურის მართვა“ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულების N2 სტრატეგიული მიზანია ,,შპს "სქილვილის" მიერ განხორციელებული პროგრამების მომხმარებელზე და შრომის ბაზარზე ორიენტირება“. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,IT ინფრასტრუქტურის მართვა“ ადგილების რაოდენობის გაზრდა წარმოადგენს კოლეჯის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების შესრულების ერთ-ერთ ამოცანას, რაც მიმართულია პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და წამყვან პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე.

დაწესებულებამ კვოტის გაზრდის დასასაბუთებლად გაანალიზა:

- საქართველოს ეროვნული განვითარების დოკუმენტი ,,ხედვა 2030“;
- შრომის ბაზრის კვლევა (და ეკონომიკური ტენდენციები);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის IT ინფრასტრუქტურის მართვა პროფესიულ სტუდენტებში ავითარებს ისეთ დარგობრივ კომპეტენციებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია შრომის ბაზრის მოთხვონებთან ქალაქ თბილისში, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ცენტრში, მოთხოვნა ამ სპეციალისტებზე განსაკუთრებით მაღალია.

მცოდნე პერსონალს. ეს მიუთითებს, რომ ბაზარზე კვალიფიციური კადრების დეფიციტიცის არსებობს. სქილვილი, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ტექნოლოგიებით აღჭურვილ სასწავლო სივრცეს, მაღალკვალიფიციურ და დარგის მიმართულებით გამოცდილ პროფესიულ მასწავლებლებს, დასაქმების შესაძლებლობას, როგორც კოლეჯში ასევე, პარტნიორ კომპანიებში, რომლებთანაც თანამშრომლობა დადასტურებელია დოკუმენტურად, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროგრამას თან ერთვის დეტალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი რესურსების წარმოდგენას, ხოლო პროგრამის განაცხადით წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი მატერიალური რესურსის შესახებ (გარდა მასალებისა და ნედლეულისა).
პროგრამა განხორიელდება მისამართზე ქ. თბილისში, ბოჭორმას ქუჩა N16. პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმატით. კვოტის გაზრდის მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულებამ პროგრამის განსახორციელებლად დაიმატა 50 სტუდენტზე გათვლილი (ჯამში 200 სტუდენტი). ორი აუდიტორია, კოლეჯი დამატებული 200 ადგილის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას განახორციელებს ოთხ ჯგუფად ორ ცვლაში.

*ექსპერტთა შეფასების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „IT ინფრასტრუქტურის მართვა“ მეტწილად უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსით. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია იდენტიფიცირებული შესაბამისობის აღწერა, შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივობები, აქტივობის დაწყებისა და დასრულების დრო, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და სხვა ჩართული მხარეები. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულებამ უნდა შეიძინოს 100 პროფესიული სტუდენტისათვის სამუშაო ადგილისათვის მაგიდა და სკამი, ამავე რაოდენობის კომპიუტერი სტუდენტთათვის, მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი - სამი ერთეული), მასწავლებლის კომპიუტერი (სამი ერთეული), ჭკვიანი დაფა (სამი ერთეული), ქსელის მზა სადენები და სხვ. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 27.05.2026-27.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო IT ინფრასტრუქტურის მართვა სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენა.*
***2.2.1.1 ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.***

**2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა შემუშავებული, რომ მასში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას. პროგრამას თან ერთვის დანართი, სადაც მოცემულია განმახორციელებელი პერსონალის დეტალური სია, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯს უზრუნველყოფილი აქვს განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის IT ინფრასტრუქტურის მართვა განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სასწავლო გეგმის და გაფორმებული წინარე ხელშეკრულებების ანალიზის შედეგად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 61 პროფესიული განათლების მასწვლებელი, აქედან 25 მასწავლებელი განახორციელებს პროფესიულ მოდულებს, 34 მასწავლებელი - ზოგად მოდულებს, 2 - ქართული ენის მოდულს. კვოტის გაზრდის მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულებამ წინასწარი ხელშეკრულება გააფორმა 10 პროფესიულ მასწავლებელთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. 400 პროფესიული სტუდენტისათვის, საკმარისია მასწავლებელთა რაოდენობა. კოლეჯი დამატებული 200 ადგილის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას განახორციელებს ხუთ ჯგუფად ცვლებში.
ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. გასაუბრებითა და პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა აღნიშნული პირების ცოდნა, უნარები და პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი კომპეტენციები, წინარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების ცოდნა და შესრულება. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** შპს „სქილვილის“ (შემდგომში - სქილვილი/კოლეჯი) “სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების” მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს სქილვილში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაოს აღწერას მათი თანამდებობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის IT ინფრასტრუქტურის მართვა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები აკმაყოფილებენ დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალფიკაციო მოთხოვნებს. ისინი ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. მასწავლებელთა ნაწილს აქვს მასწავლებლად და/ან დარგის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ მათი ნაწილი ჩართული იყო მოდულების შექმნასა და ადაპტირებაში. მასწავლებელთა უმრავლესობას გავლილი აქვს როგორც დაწესებულების, ისე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტრენინგები და მასტერკლასები სწავლებისა და პროფესიული განვითარების კუთხით. იცნობენ შეფასების საკითხებს და მზად არიან შეასრულონ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია.
*აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვისა და მათი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრის მიზნით რეგულარულად ატარებს პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვას. აღნიშნული საკითხი კოლეჯის აკადემიური დირექტორისა და მისი გუნდის*

*ფუნქცია-მოვალებით არის განსაზღვრული. აღნიშნულ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი გეგმავს პროფესიაში ახლად შემოსული მასწავლებლებისთვის დაგეგმოს და ჩაატაროს სწავლებისა და შეფასების (მათ შორის დისტანციური სწავლება და შეფასება, lms პლატფორმის გამოყენება სასწავლო პროცესში და სხვ.) მიმართულებით ტრენინგები. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.3 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 20.07.2026-20.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის IT ინფრასტრუქტურის მართვა სრულყოფილი განხორციელებისთვის პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.*
***2.2.1.3 ინდიკატორი მეტწილშესაბამისობაშია.***

**2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** შპს „სქილვილ“-ის (შემდგომში - სქილვილი/კოლეჯი) “სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების” მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს სქილვილში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაოს აღწერას მათი თანამდებობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის IT ინფრასტრუქტურის მართვა ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ იგი დარგის მოქმედი კვალიფიციური სპეციალისტია, რომელიც ამავდროულად ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. მონაწილეობა აქვთ მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევაში, მატერიალური რესურსების განსაზღვრასა და მობილიზებაში.
პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობებია: უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო შინაარსის განვითარებასა და თემატიკის განახლება, პროგრამის სწავლის შედეგებისა და პრაქტიკული კომპონენტების მართვა/ განხორციელება, სწავლების ხარისხისა და აკადემიური სტანდარტების კონტროლში მონაწილეობა, სასწავლო მასალებისა და შეფასების სისტემების/მიდგომების ზედამხედველობა, აკადემიური პერსონალის მხარდაჭერისა და სწავლების პროცესების მინიტორინგში მონაწილეობა, სტუდენტების პროგრესისა და სასწავლო შედეგების ანალიზის მონიტორინგი და სხვ. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ:** შპს „სქილვილის“ (შემდგომში - სქილვილი/კოლეჯი) “სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების” მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს სქილვილში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაოს აღწერას მათი თანამდებობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება კოლეჯში საბიბლიოთეკო სერვისების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტის მიხედვით საბიბლიოთეკო სერვისების სპეციალისტი ხელმძღვანელობს საბიბლიოთეკო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სერვისებს, უზრუნველუყოფს სქილვილის პროფესიული სტუდენტებისა/მსმენელების და პერსონალისთვის საგანმანათლებლო რესურსის მოძიებასა და საბიბლიოთეკო ბაზის პერიოდულ განახლებას, უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო კატალოგის (ელექტრონული) წარმოებას, ორგანიზებას უწევს რესურცენტრის მუშაობას, საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისა და კოლეჯის მისიის, ხედვისა და მიზნების მიღწევის პროცესში კოლეჯის სხვა პერსონალთან აქტიურად თანამშრომლობს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შპს "სქილვილის" ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი, რომელიც ადგენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის და კოლეჯის პერსონალისთვის რესურსცენტრის გამოყენებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებსა და პირობებს. კოლეჯში პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის საგანმანათლებლო რესურსით მომსახურება ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისების საშუალებით, მოიცავს რესურსცენტრს, LMS სისტემასა და ელექტრონულ ბიბლიოთეკას. რესურსცენტრი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და კოლეჯის პერსონალისთვის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-19:00 საათამდე. ელექტრონული ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სქილვილის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად, ელექტრონული პლატფორმის გამოყენების საშუალებით. რესურსცენტრი უზრუნველყოფილია კომპიუტერით, პრინტერითა და სკანერით.

პროფესიულ სტუდენტს სტატუსის მინიჭების შემდგომ ეხსნება სქილვილის ელექტრონული ფოსტა, რომლის გამოყენებითაც ეძლევა წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე. აღნიშნული წვდომა პროფესიულ სტუდენტს უნარჩუნდება კვალიფიკაციის მინიჭებიდან/სტატუსის შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში. კოლეჯს განსაზღვრული აქვს რესურსცენტრით და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი - წარმოადგენს ციფრულ რესურსების ერთიან ბაზას (საკითხავ და ვიდეო ლექციებს), რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის; მოიცავს სხვადასხვა სასწავლო მასალას, სახელმძღვანელოებს, ლექციების ჩანაწერებს, კვლევით სტატიებსა და სხვა საჭირო დოკუმენტებს; ხელმისაწვდომია სქილივილის ონლაინ პლატფორმაზე, რაც ამარტივებს მასალების მოძიებასა და გამოყენებას. აღნიშნული დებულებები და რეგულაციები უზრუნველყოფს, რომ „სქილვილის" საგანმანათლებლო რესურსები იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი, ადაპტირებული თანამედროვე ტექნოლოგიებთან და სრულად პასუხობდეს სტუდენტებისა და მასწავლებლების საჭიროებებს. რესურსების ხელმისაწვდომობა დადასტურდა რესურსცენტრის დათვალიერებითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებით.

**2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად,**

დაწესებულებაში მოქმედი „შპს „სქილვილ"-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 30/04/2026 ბრძანება N7511) დამტკიცებული დოკუმენტის ,,სასწავლო პროცესის მართვა", მე-18 მუხლში აღწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიდგომები და შესაბამისი მომსახურების გაწევის სხვა მექანიზმები, მათ შორის მოდიფიკაციისა და აკომოდაციის შესაძლებლობები და სასწავლო რესურსის ადაპტირების საკითხები. ამავე რეგულაციის მე-19 მუხლი განმარტავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას, კოლეჯის მიერ ადაპტირებული სასწავლო გარემოთი უზრუნველყოფას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გარემო და კოლეჯის საერთო სარგებლობის სივრცეები სასწავლო გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირების ოპერირებისთვის. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სასწავლო კორპუსში მოწყობილია პანდუსი, ბილიკები სსსმ/შშმ პირებისთვის, სველი წერტილები ყველა სართულზე და არის ლიფტი. კოლეჯს აქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ სურვილის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებმა შეძლონ სასწავლო რესურსებით და სივრცეებით სარგებლობა.

შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს: სპეციალური ავტოსადგომის გამოყოფას და კოლეჯის შენობაში შეღწევის შესაძლებლობას ლიფტის მეშვეობით; კოლეჯის თანამშრომლების ინფორმირებას სსსმ და შშმ პირთა კონსულტაციისა და დახმარებისათვის; მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პირის კომუნიკაცია–კონსულტაციას კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან; მატერიალური რესურსებით (მათ შორის კომპიუტერითა და ინტერნეტით) შეუზღუდავ სასრგებლობას სამუშაო დღის საათებში.

**2.2.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:** კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის IT ინფრასტრუქტურის მართვა განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით. ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.

ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას (რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 20 სტუდენტს) აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება:

- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- პროგრამისთვის საჭირო სახელმძღვანელოებისა და აპლიკაციების შეძენის ხარჯი;
- სტუდენტური აქტივობები და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ცნობადობის ამაღლება;
- იჯარა;
- და სხვ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა IT ინფრასტრუქტურის მართვა;
- სქილვილის დირექტორის ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული განათლების მასწავლებლების განსაზღვრის შესახებ (დამტკიცებულია: 23/07/2026, N015279);
- პროფესიული მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის წინარე ხელშეკრულებები;
- ელექტრონული სასწავლო რესურსი;
- დირექტორის ბრძანება შპს „სქილვილის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების თაობაზე (27/05/2026, №009788)
- შპს ,,სქილვილის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (17/07/2026, N014915);
- ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე IT ინფრასტრუქტურის მართვაკონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის IT ინფრასტრუქტურის მართვა საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგის დათვალიერება;
- რესურცენტრის (ბიბლიოთეკის) დათვალიერება;
- ადმინისტრაცისთან, სტუდენტებთან, განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| Front-end პროგრამირება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

**III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა.

**IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

*II სტანდარტი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ინდიკატორი 2.2.1.1*

*დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 27.05.2026-27.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end პროგრამირება" სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენა.*

*ინდიკატორი 2.2.1.3*

*დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.3 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 20.07.2026-20.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end პროგრამირება" სრულყოფილი განხორციელებისთვის პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.*

**V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

2026 წლის 11 აგვისტოს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანახმადაც პსდ იზიარებს ექსპერტების პოზიციას და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს. არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილის შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა შესაბამისი ინდიკატორებში არსებული ფორმულირებების ცვლილება და ტექნიკური ხასიათის ხარვეზების აღმოფხვრა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | *„Front-end პროგრამირება“* |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ.თბილისი; ბოჭორმას ქუჩა N16<br>ქ.თბილისი; ც. დადიანის ქუჩა N30 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 120 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 400 |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 520 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |

**IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

***ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:** კოლეჯმა 2025 წლის სექტემბერში დაიმატა Front-end პროგრამირების პროგრამა, რომელზეც საშემოდგომო მიღებაზე დაფიქსირდა საკმაოდ მაღალი მოთხოვნა. კერძოდ, არსებული ქვოტის (200) ფარგლებში vet.emis.ge-ს პორტალზე დარეგისტრირებული იყო 698 აპლიკანტი, 2026 წლის საგაზაფხულო მიღების რეგისტრაციის ფარგლებში დაწესებულებას გამოცხადებული აქვს 202 ადგილი აპლიკანტთა რაოდენობა კი არის 400. აღნიშნული სტატისტიკა ნათელი მაგალითია იმისა, რომ მოცემულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მაღალია მოთხოვნა. ასევე, დაწესებულება დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას შესთავაზოს, როგორც ფიზიკურ ასევე, დისტანციურ რეჟიმში სწავლის შესაძლებლობა, რაც კიდევ უფრო ზრდის Front-end



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამირების“ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე მოთხოვნას, რადგან კოლეჯი ორიენტირებულია, რომ მოერგოს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს და შეუქმნას მათ სწავლისათვის ხარისხიანი და ხელსაყრელი გარემო.

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე “Front-End პროგრამირება” პირდაპირ შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს და საქართველოს ეროვნული განვითარების დოკუმენტს – „ხედვა 2030“, რომლის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ციფრული ტრანსფორმაცია და მაღალკვალიფიციური კადრების განვითარება ICT სექტორში. კოლეჯის მისიაა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, თანამედროვე და პრაქტიკაზე ორიენტირებული განათლების შეთავაზება. „Front-end პროგრამირება“ კი ციფრულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა.

დაწესებულებამ კვოტის გაზრდის დასასაბუთებლად გაანალიზა:

- საქართველოს ეროვნული განვითარების დოკუმენტი ,,ხედვა 2030“;
- შრომის ბაზრის კვლევა და ეკონომიკური ტენდენციები;
- დასაქმების პლატფორმების ანალიზი;
- გლობალური ტენდენციები;

აღნიშნული დოკუმენტების ანალიზის მიხედვით აღნიშნული გარემოების გარდა, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე “Front-Endპროგრამირება” პირდაპირ შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს და საქართველოს ეროვნული განვითარების დოკუმენტს – „ხედვა 2030“, რომლის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ციფრული ტრანსფორმაცია და მაღალკვალიფიციური კადრების განვითარება ICT სექტორში.

კოლეჯის მისიაა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, თანამედროვე და პრაქტიკაზე ორიენტირებული განათლების შეთავაზება. „Front-end პროგრამირება“ კი ციფრულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა.
პროგრამა განხორიელდება მისამართებზე ქ. თბილისში, ბოჭორმას ქუჩა N16, ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის N30.  პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმატით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „Front-end პროგრამირება“ ადგილების გაზრდის საჭიროება განპირობებულია, როგორც შრომის ბაზრის
მზარდი მოთხოვნით მაღალკვალიფიციურ ტექნიკურ კადრებზე (რომელიც დასტურდება ადგილობრივი და გლობალური კვლევებით), ასევე დაწესებულების გაფართოებული ინფრასტრუქტურითა და პროგრამის საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღების ფარგლებში დარეგისტრირებულ აპლიკანტთა სტატისტიკით, რაც უზრუნველყოფს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას სწავლების ხარისხის შენარჩუნებით.
ზემოთდასახელებეული გარემოებებიდან გამომდინარე, კოლეჯი პრიორიტეტულად თვლის გაზარდოს ადგილების რაოდენობა დასახელებულ პროგრამაზე და საშემოდგომო მიღებისთვის უფრო ბევრ პირს მისცეს შესაძლებლობა გახდეს Front-end პროგრამირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

ასევე, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, სტუდენტებს შორის გაცილებით უფრო მოთხოვნადია დისტანციურ რეჟიმში სწავლა. შესაბამისად, კოლეჯი გეგმავს დამატებული 120 ადგილის ფარგლებში (მისამართი: ცოტნე დადიანის N30), 4 ჯგუფისთვის სწავლება განახორციელოს დასწრებულ რეჟიმში, ხოლო ერთი ჯგუფისთვის - დისტანციურ რეჟიმში. აღნიშნულის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი აუდიტორია 15 სტუდენტზე გათვლილი (ორცვლიანი სწავლებისათვის), რომლის აღჭურვაც მოხდება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკით.

*ექსპერტთა შეფასების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end პროგრამირება მეტწილად უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსით. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია იდენტიფიცირებული შესაბამისობის აღწერა, შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივობები, აქტივობის დაწყებისა და დასრულების დრო, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და სხვა ჩართული მხარეები. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულებამ უნდა შეიძინოს 30 პროფესიული სტუდენტისათვის სამუშაო ადგილისათვის მაგიდა და სკამი, ამავე რაოდენობის კომპიუტერი სტუდენტთათვის, მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი - ორი ერთეული), მასწავლებლის კომპიუტერი (ორი ერთეული),, ჭკვიანი დაფა (ორი ერთეული), ფლეშ მეხსიერება (ორი ერთეული). დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 27.05.2026-27.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end პროგრამირება" სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენა.*

***2.2.1.1 ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.***

**2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა შემუშავებული, რომ მასში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას. პროგრამას თან ერთვის დანართი, სადაც მოცემულია განმახორციელებელი პერსონალის დეტალური სია, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯს უზრუნველყოფილი აქვს განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front end პროგრამირება" განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პირი და მეტი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული წინარე ხელშეკრულებების ანალიზის შედეგად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 48 პროფესიული განათლების მასწვლებელი, აქედან 29 მასწავლებელი განახორციელებს პროფესიულ მოდულებს, 16 მასწავლებელი - ზოგად მოდულებს, 3 - ქართული ენის მოდულს. კვოტის გაზრდის მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულებამ წინასწარი ხელშეკრულება გააფორმა 9 პროფესიულ მასწავლებელთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. 520 პროფესიული სტუდენტისათვის, საკმარისია მასწავლებელთა რაოდენობა. კოლეჯი გეგმავს დამატებული 120 ადგილის ფარგლებში, 4 ჯგუფისთვის სწავლება განახორციელოს დასწრებულ რეჟიმში, ხოლო 2 ჯგუფისთვის - დისტანციურ რეჟიმში. აღნიშნული ქვოტირების გათვალისწინებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი მატერიალური რესურსის შესახებ.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. გასაუბრებითა და პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა აღნიშნული პირების ცოდნა, უნარები და პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი კომპეტენციები, წინარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების ცოდნა და შესრულება. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** შპს „სქილვილის“ (შემდგომში - სქილვილი/კოლეჯი) “სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების” მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს სქილვილში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაოს აღწერას მათი თანამდებობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის *„Front-end პროგრამირება“* პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები აკმაყოფილებენ დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალფიკაციო მოთხოვნებს. ისინი ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. მასწავლებელთა ნაწილს აქვს მასწავლებლად და/ან დარგის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ მათი ნაწილი ჩართული იყო მოდულების შექმნასა და ადაპტირებაში. მასწავლებელთა უმრავლესობას გავლილი აქვს როგორც დაწესებულების, ისე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტრენინგები და მასტერკლასები სწავლებისა და პროფესიული განვითარების კუთხით. იცნობენ შეფასების საკითხებს და მზად არიან შეასრულონ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია.

*აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვისა და მათი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრის მიზნით რეგულარულად ატარებს პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვას. აღნიშნული საკითხი კოლეჯის აკადემიური დირექტორისა და მისი გუნდის ფუნქცია-მოვალებით არის განსაზღვრული. აღნიშნულ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი გეგმავს პროფესიაში ახლად შემოსული მასწავლებლებისთვის დაგეგმოს და ჩაატაროს სწავლებისა და შეფასების (მათ შორის დისტანციური სწავლება და შეფასება, lms პლატფორმის გამოყენება სასწავლო პროცესში და სხვ.) მიმართულებით ტრენინგები. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 27/05/2026 წ. №9788 (ცვლილება, 20/07/2026 წ. №15011 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.3 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ვადებში - 20.07.2026-20.10.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო „Front-end პროგრამირება“ სრულყოფილი განხორციელებისთვის პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.*
***2.2.1.3 ინდიკატორი მეტწილშესაბამისობაშია.***

**2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** შპს „სქილვილ“-ის (შემდგომში - სქილვილი/კოლეჯი) “სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების” მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს სქილვილში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაოს აღწერას მათი თანამდებობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის *,,Front-end პროგრამირება“* ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ იგი დარგის მოქმედი კვალიფიციური სპეციალისტია, რომელიც ამავდროულად ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. მონაწილეობა აქვთ მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევაში, მატერიალური რესურსების განსაზღვრასა და მობილიზებაში.
